საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივანე ქვაციხისელი

ივანე ქვაციხისელი, ფოლკლორის პერსონაჟი დაღუპული მონადირის ციკლის თქმულება „ივანე ქვაციხისელის" მთავარი გმირი.

ფოლკლორული ვარიანტების მიხედვით საფერხულო ტიპის სიმღერებში გადმოცემულია მონადირე ი. ქ-ის ტრაგიკული ამბები. ჯიხვების კვალს გადევნებულ ივანეს თოვლისგან გაუკეთებია საფეხურები კლდეზე ასასვლელად. დაბრუნებისას კი ვეღარ უპოვია. საბოლოოდ იგი დაიმტვრა. ქვას რ-იც მას გადმოჰყვა ქვაციხე უწოდეს მონადირეს კი – ქვაციხისელი. ი. ქ-ის სახეს შერჩენილი აქვს უძველესი რწმენა-წარმოდგენების შემცველი პლასტები.

ლიტ.: ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე ელ., ქართული სამონადირეო ეპოსი თბ., 1964; ღ ლ ო ნ ტ ი ალ., ქართული ხალხური ნოველა თბ., 1989; ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში თბ., 2004; В и р с а л а д з е Е. Б., Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976.

თ. დოლიძე